- საფოსტო მისამართი: Nieuwezijds Voorburgwal 307, 1012 RM, ამსტერდამი, ნიდერლანდები;
- მონაცემთა დაცვის ოფიცრის ელექტრონული ფოსტის მისამართ: dataprotection@bershka.com

- **შპს „Best Retail Georgia“** (შემდგომში მოხსენიებული, როგორც **„გამყიდველი“**):
  - იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, თელავის ქ., N20, 0144;
  - ფაქტობრივი მისამართ: საქართველო, ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი #70, სითი თაუერი, მე-7 სართული, საფოსტო ინდექსი:0186

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინდიტექსი და გამყიდველი (შემდგომში ერთობლივად მოხსენიებული, როგორც **„ჩვენ“** ან **„საერთო დამმუშავებლები“**) არიან მონაცემთა საერთო დამმუშავებლები. ეს კი ნიშნავს, რომ ერთობლივად ვართ რეგულაციების სუბიექტები და ერთობლივად ვართ პასუხისმგებლები თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებასა და დაცვაზე.

## 2. რატომ ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს?

იმისდა მიხედვით, თუ დროდადრო რა მიზნებით ვამუშავებთ თქვენს ინფორმაციას, როგორც ახსნილია ზემოთ, შესაძლებელია შეიქმნას საჭიროება, რომ დავამუშავოთ თქვენი ესა თუ ის მონაცემი, რაც, როგორც წესი, კონკრეტული შემთხვევის გათვალისწინებით, იქნება შემდეგი მონაცემები:

- თქვენი **პირადი მონაცემები** (მაგალითად, თქვენი სახელი, გვარი, ენა, საკონტაქტო მონაცემები, ქვეყანა, საიდანაც ამყარებთ ჩვენთან ურთიერთობას და სხვ.);
- **ეკონომიკური და ტრანზაქციის** ინფორმაცია (მაგალითად, თქვენი გადახდის ან ბარათის მონაცემები, თქვენს მიერ განხორციელებული შესყიდვების ინფორმაცია, დაბრუნებების შესახებ ინფორმაცია და სხვ.);
- **ინტერნეტ კავშირის, ადგილსამყოფელის ან/და ვებ-ნავიგაციის** ინფორმაცია (მაგალითად, თუ თქვენ მობილური ტელეფონით ამყარებთ ჩვენთან კავშირს);
- **კომერციული** ინფორმაცია (მაგალითად, გამოიწერეთ თუ არა ჩვენი საინფორმაციო ბუკლეტები);
- თქვენს **გემოვნებასა და უპირატესობებზე** ინფორმაცია.

გახსოვდეთ, რომ როდესაც ჩვენ გთხოვთ, რომ შეავსოთ შესაბამისი ველი თქვენი პერსონალური მონაცემით იმისათვის, რომ მოიპოვოთ წვდომა პლატფორმის გარკვეულ ფუნქციებზე ან სერვისებზე - ზოგიერთ ველს აღვნიშნავთ, როგორც *სავალდებულოს*, რადგან ასეთი ინფორმაცია აუცილებელია იმისთვის, რომ შევძლოთ მოგაწოდოთ შესაბამისი სერვისი ან მოგცეთ წვდომა გარკვეულ ფუნქციებზე. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ თუ გადაწყვეტთ, არ მოგვაწოდოთ ასეთი ინფორმაცია/მონაცემი, თქვენ შესაძლოა ვერ მოახერხოთ თქვენი მომხმარებლის ანგარიშის (ე.წ „ექაუნთის“) რეგისტრაცია ან შესაძლოა ვერ ისარგებლოთ ჩვენი გარკვეული სერვისით ან ფუნქციით.

კონკრეტულ შემთხვევებში, შესაძლოა, ჩვენი პლატფორმის სერვისებისა და ფუნქციების გამოყენების გზით, მესამე პირმა მოგვაწოდოს თქვენი მონაცემები, მაგალითად, თქვენთვის სასაჩუქრე ბარათის გამოგზავნით ან გზავნილის დანიშნულების ადგილად თქვენი მისამართის მითითების გზით. ასეთ შემთხვევებში, ჩვენ თქვენს მონაცემებს ვიყენებთ მხოლოდ იმ მიზნებისთვის, რომელიც საჭიროა ასეთი სერვისის ან ფუნქციისათვის, როგორც აღნიშნულია წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტში.

იმისდა მიხედვით, თუ რა სახის კავშირს ამყარებთ ჩვენს პლატფორმასთან (ანუ, თქვენთვის სასურველი სერვისების, პროდუქტების ან ფუნქციების გამოყენებით), ჩვენ დავამუშავებთ თქვენს მონაცემებს შემდეგი მიზნებისთვის:

| მიზანი | დამატებითი ინფორმაცია |
|---|---|
| **1. პლატფორმაზე თქვენი რეგისტრაციის მენეჯმენტი** | თუ თქვენ გადაწყვეტთ, რომ გახდეთ პლატფორმის რეგისტრირებული მომხმარებელი, ინდიტექსი საჭიროებს თქვენი მონაცემების დამუშავებას, რათა შეძლოს **თქვენი პლატფორმის მომხმარებლად იდენტიფიცირება** და როგორც რეგისტრირებულ მომხმარებელს, **მოგცეთ წვდომა** მის არაერთ ფუნქციაზე, პროდუქტებსა თუ სერვისებზე. ჩვენს ონლაინ კონსულტაციის ჯგუფთან დაკავშირებით გზით, ნებისმიერი დროს, შეგიძლიათ გააუქმოთ თქვენი სამომხმარებლო ანგარიში (ე.წ „ექაუნთი“).<br><br>ამით შეგატყობინებთ, რომ თქვენს საქმიანობასთან დაკავშირებით შეგროვებული მონაცემები, რომლებიც შეგროვდა პლატფორმის სხვადასხვა არხებით და მოიცავს თქვენს შენაძენებს, უკავშირდება თქვენს ანგარიშს, რათა ყველა ინფორმაციაზე ერთიანად იყოს წვდომა.<br><br>თქვენ გაქვთ შესაძლებლობა შეხვიდეთ ჩვენს სისტემაში სოციალური ქსელის ან სხვა კოლაბორატორის მეშვეობით, რომელიც საშუალებას მისცემს  სერვისს (სოციალური შესვლა), მოახდინოს დაკავშირება  ან დარესგიტრირდეთ როგორც ახალი მომხმარებელი. ამ შემთხვევაში, თქვენი ავტორიზაციის მონაცემები, აგრეთვე თქვენი სახელი და ელ.ფოსტა / ტელეფონის ნომერი (შეიძლება ამის ავტორიზაცია დაგჭირდეთ) იმპორტირდება თქვენი სოციალური ქსელიდან ან კოლაბორატორის ანგარიშიდან. შესვლის ამ ვარიანტის გამოყენებით, ამ მესამე პირებმა შეიძლება გამოგვიგზავნონ გარკვეული დამატებითი ინფორმაცია თქვენი საჯარო პროფილის შესახებ, როგორიცაა: თქვენი სახელი, სქესი, სავარაუდო ასაკი ან პროფილის ფოტოსურათი, სოციალური ქსელის / კოლაბორატორის გამოყენების პირობების შესაბამისად, რომელსაც ჩვენ გირჩევთ ყურადღებით გადახედოთ. სანამ არ მოგვცემთ ავტორიზაციას, ამ დამატებით მონაცემებს არ შევინახავთ. ანალოგიურად, ამ ფუნქციის გამოყენება შეიძლება |

| | |
|---|---|
| | გულისხმობდეს, რომ თქვენ გარკვეულ ინფორმაციას მიაწვდით თქვენი საქმიანობის შესახებ სოციალურ ქსელს ან კოლაბორატორს. ნებისმიერ შემთხვევაში, გირჩევთ გადახედოთ თქვენს პერსონალური მონაცემების დაცვის პარამეტრებს და კოლაბორატორის ან სოციალური ქსელის პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკას, რათა გაიგოთ, თუ როგორ ამუშავებენ მესამე პირები თქვენს პერსონალურ მონაცემებს. |
| **2. განვითარება, ნასყიდობის ან სერვისის ხელშეკრულების შესრულება**, რომელიც თქვენ ჩვენთან პლატფორმაზე წვდომის შედეგად გააფორმეთ. | ამ მიზნიდან გამომდინარე, უმთავრესად თქვენს მონაცემებს დავამუშავებთ იმისათვის, რომ:<br><br>▪ **დაგიკავშირდეთ** ახალი ინფორმაციისა ან ინფორმაციული განმარტების მოწოდებისთვის, რომელიც **კავშირში იქნება სახელშეკრულებო ფუნქციებთან, პროდუქტებთან ან სერვისებთან,** მათ შორის, **ხარისხობრივი კვლევის** გამოგზავნის მიზნით და ასევე, რომ შევძლოთ დავადგინოთ, რამდენად კმაყოფილია მომხმარებელი ჩვენს მიერ მიწოდებული სერვისით;<br><br>▪ **დავამუშავოთ თქვენს მიერ განხორციელებული გადახდები** იმ პროდუქტების სანაცვლოთ, რომლის შეძენაც გსურთ, მიუხედავად იმისა, გადახდის რომელ ხერხს იყენებთ, მაგალითად:<br><br>○ ვებ-გვერდის ან აპლიკაციის მეშვეობით პროდუქტების შეძენისას, თუ გადაწყვეტთ, რომ გამოიყენოთ **ბარათის მონაცემების შენახვის** ფუნქცია სამომავლო შენაძენებისთვის (თუ ასეთი ფუნქცია ხელმისაწვდომია), ჩვენ, შესაბამისი ფუნქციის აქტივაციის და განვითარების მიზნით, დაგვჭირდება შესაბამისი მონაცემების დამუშავება. ასეთი ფუნქციის გააქტიურებაზე თანხმობა საშუალებას გაძლევთ, რომ სამომავლო შენაძენებზე ავტომატურ რეჟიმში შეავსოთ საბარათე მონაცემით შესავსები ველები, რათა ყოველ ჯერზე არ მოგიწიოთ მათი ახლიდან მექანიკურად შეყვანა, და ასეთი (ავტომატურად შეყვანილი) მონაცემები მიჩნეულ იქნება ნამდვილად და ეფექტურად ყოველი ახალი შენაძენისთვის. თქვენ გაქვთ საშუალება, რომ ვებ-გვერდზე თქვენი რეგისტრირებული მომხმარებლის ანგარიშის გამოყენებით, კერძოდ, გადახდის ინფორმაციის სექციის მეშვეობით, ან ჩვენი აპლიკაციის საფულის ფუნქციის |

გამოყენებით, ნებისმიერ დროს, შეცვალოთ ან წაშალოთ თქვენი საბარათე მონაცემები.

- თუ თქვენ გსურთ, რომ ჩვენი მობილური აპლიკაციის საფულის ფუნქციის გამოყენებით, გადაიხადოთ იმ შენაძენის საფასურიც, რომელსაც ფიზიკურად განახორციელებთ საქართველოში არსებულ ჩვენს მაღაზიებში, აუცილებელია იქნება, რომ ჩვენ დავამუშავოთ თქვენი მონაცემები და ამ გზით გავააქტიუროთ ხსენებული ფუნქცია.

- გავააქტიუროთ მექანიზმები, რომლებიც აუცილებელია **პლატფორმის არა-ავტორიზებული გამოყენების გამოვლენის და პრევენციისთვის** (მაგალითად, შენაძენის გაკეთებისა და უკან დაბრუნების პროცესში, ან შეძენის პროცესის დროს **ჩვენს ან თქვენს წინააღმდეგ პოტენციური თაღლითობის ჩადენის მცდელობა**). უფრო კონკრეტულად კი, თუ ჩვენ მივიჩნევთ, რომ ტრანზაქცია შესაძლოა იყოს თაღლითური ან ჩვენ აღმოვაჩენთ არაბუნებრივ ქცევას, რომელიც მიანიშნებს რომ თაღლითური ქმედებით ხდება ჩვენს ფუნქციებზე, პროდუქტებზე ან სერვისებზე წვდომის მოპოვება, მონაცემთა დამუშავების შედეგად, შესაძლოა მოხდეს ტრანზაქციის დაბლოკვა ან მომხმარებლის ანგარიშის წაშლა.
- მას შემდეგ რაც განახორციელებთ გადახდას, მოხდეს პოტენციური გაცვლის/დაბრუნების ოპერაციის მენეჯმენტი და ასევე, **პროდუქტების დაჯავშნის ფუნქციებისა** და **ვებ-გვერდის მასალების თაობაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ მოთხოვნების** მენეჯმენტი, იმისდა მიხედვით, ამა თუ იმ დროს, ხელმისაწვდომია თუ არა ასეთი ფუნქციები.
- მოხდეს ინვოისის გამოწერა და თქვენთვის ხელმისაწვდომი გახდეს როგორც ის (ინვოისი), ასევე სხვა აქტები, რომელიც დაკავშირებულია თქვენს მიერ პლატფორმის მეშვეობით განხორციელებულ შენაძენებთან.
- მოხდეს **სხვა შემოთავაზებულ ფუნქციებსა და სერვისებზე** თქვენი წვდომის უზრუნველყოფა, მაგალითად, **სასაჩუქრე ბარათების** ან **სასაჩუქრე ვაუჩერების** შეძენა, მიღება, მენეჯმენტი და გამოყენება,

| | |
|---|---|
| | და ასევე, რომ შესაძლებელი იყოს ჩვენი მომხმარებლებისთვის, საქართველოში არსებულ ჩვენს მაღაზიებში, Wi-Fi სიგნალზე თავისუფალი წვდომის მინიჭება.<br><br>▪ იმისთვის, რომ შემოგთავაზოთ აპლიკაციის სპეციფიკური სერვისები (მაგალითად, ნივთების მაძიებელი, გამოსაცვლელი ოთახი და ა.შ.), რომელიც ხელმისაწვდომია ჩვენს მაღაზიებში, ჩვენ შეგვიძლია დავამუშავოთ თქვენი ადგილმდებარეობა და საკონტაქტო მონაცემები. |
| **3. მომხმარებელთა მხარდაჭერის სერვისის მეშვეობით**, თქვენს მიერ წარმოდგენილი მოთხოვნებისა და აპლიკაციების მენეჯმენტი. | ჩვენ ვამუშავებთ იმ პერსონალურ მონაცემებს, რომლებიც **მკაცრად აუცილებელია** თქვენს მიერ წარდგენილი მოთხოვნებისა და აპლიკაციების მენეჯმენტის ან გადაჭრისთვის.<br><br>თუ თქვენ შესაძლებლობა მოგეცემათ და აირჩევთ მომხმარებელთა მომსახურების სერვისს სოციალური ქსელის ან სხვა სახის ჩეთის სერვისის საშუალებით, თქვენი ზოგიერთი პირადი მონაცემები, როგორიცაა თქვენი სახელი ან მომხმარებლის სახელი, იმპორტირდება თქვენი სოციალური ქსელიდან ან კოლაბორატორის ანგარიშიდან. გაითვალისწინეთ, რომ ამ სერვისზე თქვენს მიერ გაგზავნილი მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება თქვენი სოციალური ქსელის ან კოლაბორატორისათვის და ექვემდებარება მათ კონფიდენციალურობის პოლიტიკას, ამიტომ გირჩევთ გადახედოთ თქვენი პერსონალური ინფორმაციის დაცვის პარამეტრებს და წაიკითხოთ სოციალური ქსელის ან კოლაბორატორის კონფიდენციალურობის პოლიტიკა. მოიპოვოთ უფრო დეტალური ინფორმაცია თქვენი პირადი მონაცემების გამოყენების შესახებ მათი მომსახურების გამოყენებისას. |
| **4. მარკეტინგული მიზნები.** | ინდიტექსი თქვენს მონაცემებს ძირითადად დაამუშავებს იმისათვის, რომ:<br><br>▪ ინდივიდუალურად მოარგოს თქვენს გემოვნებას/უპირატესობებს ინდიტექსის მიერ შემოთავაზებული სერვისები და მიეცეს ამ უკანასკნელს შესაძლებლობა, რომ მოგცეთ რეკომენდაციები თქვენს მიერ პლატფორმაზე განხორციელებული ქმედებების შესაბამისად, და ასევე, მოახდინოს თქვენი მომხმარებლის ანგარიშის პროფილის ანალიზი (მაგალითად, თქვენი შენაძენებისა და ვებ-ნავიგაციის ისტორიის მიხედვით). |

| | |
|---|---|
| | ▪ როდესაც (თუ) გამოიწერთ ჩვენს საინფორმაციო ბუკლეტებს, ინდიტექსი დაამუშავებს თქვენს მონაცემებს, რომ მოახდინოს თქვენი **გამოწერის მენეჯმენტი**, მათ შორის, იმ მიზნით, რომ სხვადასხვა გზებით (ელექტრონული ფოსტის ან მოკლე ტექსტური შეტყობინების გზით) **გამოგიგზავნოთ ინდივიდუალურად მორგებული ინფორმაცია** ჩვენს პროდუქტებსა და სერვისებზე. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ თქვენ შესაბამისი ფუნქცია ჩართული გაქვთ თქვენს ელექტრონულ მოწყობილობაზე, შესაძლებელია, რომ ინდიტექსმა ასეთი ინფორმაცია გამოგიგზავნოთ მომენტალური ნოტიფიკაციების მეშვეობით.<br><br>▪ შესაბამისად, გთხოვთ, მხედველობაში მიიღოთ, რომ ასეთი ინფორმაციის (მონაცემების) დამუშავება გულისხმობს **თქვენი მომხმარებლის ანგარიშის ან პროფილის ანალიზს**, რათა დავადგინოთ თქვენი უპირატესობები (რომელი პროდუქტები ჯდება თქვენს გემოვნებაში) და ამისდა მიხედვით, შემოგთავაზოთ ის პროდუქტები და სერვისები, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენს სტილს. მაგალითად, თქვენი შენაძენებისა და ვებ-ნავიგაციის (ანუ, იმის მიხედვით, თუ ვებ-გვერდის რომელი ნაწილი/სტატია დაათვალიერეთ) ისტორიის საფუძველზე, ინდიტექსი შემოგთავაზებთ პროდუქტებს, რომლებიც ამ უკანასკნელის ვარაუდით, შესაძლოა გაინტერესებდეთ თქვენ და, თუ ხართ რეგისტრირებული მომხმარებელი, მოგცემთ „კალათის აღდგენის" ფუნქციის გამოყენების შესაძლებლობას.<br><br>▪ გახსოვდეთ, რომ თქვენ, პლატფორმის შესაბამისი სექციის მეშვეობით, **ნებისმიერ დროს, შეგიძლიათ ჩვენი საინფორმაციო ბუკლეტების გამოწერის შეწყვეტა**, რაც არ იწვევს რაიმე ხარჯს. ამასთან, გამოწერის შეწყვეტას შეძლებთ იმ ინსტრუქციებით ხელმძღვანელობის შემთხვევაშიც, რომელსაც მოგაწვდით ყოველი ბუკლეტით. თუ თქვენ, თქვენს მოწყობილობაზე არ გსურთ ჩვენგან მომენტალური ნოტიფიკაციების მიღება, მაშინ ეს ფუნქცია უნდა გამორთოთ თქვენი მოწყობილობის მენიუდან. |

| | |
|---|---|
| | ▪ თქვენს მიერ გარკვეული (სხვა) ვებ-გვერდებისა და აპლიკაციების, მაგალითად, სოციალური ქსელების გამოყენების დროს, შემოგთავაზოთ **ინტერნეტ რეკლამები**. ეს რეკლამები შესაძლოა შემთხვევითი ბუნების იყოს, მაგრამ სხვა შემთხვევებში, შესაძლოა იყოს რეკლამები, რომლებიც მორგებულია თქვენს ინტერესებზე/გემოვნებაზე, ან შესყიდვებისა და ვებ-ნავიგაციის ისტორიაზე.<br><br>▪ თუ თქვენ იყენებთ სოციალურ ქსელებს, ინდიტექსმა იმ კომპანიებს, რომლებთანაც თანამშრომლობს, შესაძლოა მიაწოდოს გარკვეული ინფორმაცია, რათა მათ (პარტნიორმა კომპანიებმა) შეძლოთ თქვენთვის ჩვენი რეკლამების ჩვენება და ზოგადად, შემოგთავაზონ თქვენ და თქვენს მსგავს მომხმარებლებს რეკლამები, რომლებიც მხედველობაში იღებენ სოციალური ქსელებზე თქვენს პროფილს. თუ თქვენ გსურთ მეტი ინფორმაციის მიღება სოციალური ქსელების მიერ თქვენი მონაცემების დამუშავების თაობაზე და თუ როგორ მუშაობს სარეკლამო სერვისი ასეთ გვერდებზე, გთხოვთ, გადახედოთ შესაბამისი სოციალური ქსელის (სადაც გაქვთ თქვენი პროფილი/ანგარიში) მონაცემთა დამუშავების პოლიტიკას.<br><br>▪ ინდიტექსი თქვენს მონაცემებს ასევე იყენებს იმ მიზნით, რომ მოახდინოს პარტნიორ პლატფორმებზე განთავსებული და მომხმარებლებისთვის შეთავაზებული ჩვენი რეკლამების სეგმენტის ანალიზი და შეფასება. ამისათვის, ინდიტექსი თანამშრომლობს მესამე პირებთან, რომლებსაც აქვთ ასეთი მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი ტექნოლოგია (მაგალითად, ე.წ „cookie“-ები, პიქსელები და სხვ.). გახსოვდეთ, რომ იმისდა მიუხედავად. რომ ინდიტექსი ასეთ პარტნიორებს არ აწვდის პიროვნების საიდენტიფიკაციო პერსონალურ მონაცემებს, ყოველ ჯერზე, აწვდის გარკვეული სახის სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემს (მაგალითად, „Cookie“-სთან დაკავშირებულ საიდენტიფიკაციო მონაცემებს და სხვ.). აღნიშნულთან დაკავშირებით, თუ გსურთ მეტი |

ინფორმაციის მიღება, გთხოვთ, გადახედოთ ჩვენს „COOKIE“-ების გამოყენების პოლიტიკას. ამასთან, თქვენ შეგიძლიათ გაანულოთ თქვენი სარეკლამო „აი-დი“ ან გამორთოთ პერსონალიზირებული რეკლამები თქვენი მოწყობილობიდან.

- მონაცემთა შევსება: როდესაც ინდიტექსი აგროვებს თქვენს პერსონალურ მონაცემებს სხვადასხვა წყაროდან, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლოა მოხდეს ასეთი მონაცემების გაერთიანება, რათა ჩვენს პროდუქტებთან და სერვისებთან მიმართებით, შეგვექმნას უკეთესი წარმოდგენა თქვენს საჭიროებებსა და უპირატესობებზე/გემოვნებაზე (მათ შორის, ანალიზის, მომხმარებელთა პროფილის შექმნის, მარკეტინგული კვლევის, ხარისხის კვლევის და მომხმარებელთან ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით). ეს შემთხვევა ეხება, მაგალითად, ინდიტექსის მიერ თქვენს შესახებ ინფორმაციის გაერთიანებას, როდესაც ხართ რეგისტრირებული მომხმარებელი და ამასთან, ვებ-გვერდის სტუმრის სტატუსით შენაძენის გაკეთებისას, იყენებთ იმავე ელექტრონული ფოსტის მისამართს, რომელიც მითითებულია თქვენს რეგისტრირებულ ანგარიშზე, ან ინფორმაცია, რომელიც ავტომატურად გროვდება (მაგალითად „აი-პი“ მისმართი და „MAC“ მისამართი, ან მეტა-მონაცემი), რომელიც შესაძლოა დაკავშირდეს იმ ინფორმაციასთან, რომელიც მოგვაწოდეთ პირდაპირ პლატფორმაზე თქვენი აქტივობის შედეგად, ან ჩვენს ნებისმიერ მაღაზიაში ვიზიტის დროს (მაგალითად, თქვენი შენაძენების შესახებ ინფორმაცია, როგორც ონლაინ მაღაზიიდან, ასევე, ფიზიკურ მაღაზიებიდან, თქვენი გემემოვნება/უპირატესობები და სხვ.).

- მონაცემთა შეგროვება ასევე შეიძლება მოხდეს **წამახალისებელი ქმედებებისთვის** (მაგალითად, კონკურსების ორგანიზებისთვის ან იმ ნივთების გამოგზავნისთვის, რომელიც ინახება თქვენს მიერ მითითებულ ფოსტის მისამართზე).

  მოხდეს პლატფორმაზე, ან სოციალურ ქსელების ჩვენს გვერდებზე, თქვენს მიერ საჯაროდ გაზიარებული

| | |
|---|---|
| | ფოტოების ან სურათების გავრცელება, იმ პირობით, რომ ამის თაობაზე ინდიტექსს აშკარა თანხმობას მისცემთ. |
| **5. გამოყენებადობის და ხარისხის ანალიზი**, ჩვენი სერვისების გასაუმჯობესებლად. | თუ თქვენ დაუკავშირდებით ჩვენს პლატფორმას, ინდიტექსი მოგაწვდით ინფორმაციას, რომ თქვენს ვებ-ნავიგაციის ისტორიას გამოიყენებს **ანალიტიკური და სტატისტიკური მიზნებისთვის**, ანუ, ჩვენს პლატფორმასთან და ასევე, სხვა ვებ-გვერდებზე და აპლიკაციებზე, ჩვენს მიერ დანერგილ ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან მომხმარებლების დაკავშირების თავისებურებების დადგენის მიზნით. აღნიშნულ საჭიროა იმისათვის, რომ გავაუმჯობესოთ ჩვენი სერვისები.<br><br>გარდა ამისა, პერიოდულად, ინდიტექსი ატარებს გამოკითხვებსა და ღონისძიებებს, რათა დადგინდეს ჩვენი მომხმარებლების კმაყოფილების დონე და იმ სფეროების ჩამონათვალი, სადაც ჩვენ შესაძლოა განვითარდეთ. |

## 3. თქვენი მონაცემების დამუშავების სამართლებრივი მხარე

როგორც ქვემოთ მოცემულ ცხრილშია ახსნილი, ჩვენს მიერ თქვენი მონაცემების დამუშავების სამართლებრივი საფუძველი დამოკიდებულია იმ მიზანზე, რომლისთვისაც ვამუშავებთ მათ.

| მიზანი | სამართლებრივი მოწესრიგება |
|---|---|
| **1. პლატფორმაზე თქვენი რეგისტრაციის მენეჯმენტი** | ინდიტექსი ამუშავებს თქვენს მონაცემებს, რადგან ეს **აუცილებელია იმ პირობებისთვის, რომელიც გათვალისწინებულია პლატფორმის გამოყენებისთვის**. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმისათვის, რომ თქვენ შეძლოთ პლატფორმის მომხმარებლად რეგისტრაცია, ინდიტექსი საჭიროებს თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებას, რადგან სხვაგვარად შეუძლებელია თქვენი რეგისტრაციის მენეჯმენტი. |
| **2. განვითარება, ან ნასყიდობის/სერვისის ხელშეკრულების შესრულება** | ჩვენ ვამუშავებთ თქვენს მონაცემებს, რადგან ეს აუცილებელია, რათა **შეძლოთ შენაძენის გაკეთება ან ჩვენს შორის გაფორმდეს სერვისის/მომსახურების ხელშეკრულება**.<br><br>მონაცემთა დამუშავების შემთხვევები, რომლებიც დაკავშირებულია შენაძენის გაკეთების პროცესთან, აქტიურდება მხოლოდ იმიტომ, რომ ითხოვთ ამას ან გვაძლევთ ამის ნებართვას. ამის მაგალითია, თქვენი საგადახდო (საბარათე) მონაცემების შენახვა სამომავლო შენაძენებისთვის, ან გადახდის ქვითრების დასკანერება აპლიკაციაზე ხელმისაწვდომი „საფულის“ ფუნქციით, ან თქვენთვის „მალე |

| | |
|---|---|
| | გაყიდვაში“ / „მალე დაბრუნდება“ ფუნქციების მოწოდებისთვის (თუ ასეთი ფუნქციები, ხელმისაწვდომია). ასეთ შემთხვევებში, ჩვენს მიერ თქვენი მონაცემების დამუშავება ემყარება თქვენივე **თანხმობას.**<br><br>ჩვენ მივიჩნევთ, რომ გვაქვს **კანონიერ ინტერესი**, რომ გავატაროთ საჭირო ქმედებები/ვერიფიკაციები იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ან გამოვავლინოთ პლატფორმაზე პოტენციური თაღლითობის ან თაღლითური გამოყენების შემთხვევები, თუნდაც, როდესაც თქვენ აკეთებთ შენაძენს ან სარგებლობთ დაბრუნების შესაძლებლობით. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ასეთი მონაცემების დამუშავება პოზიტიურ შედეგებს აძლევს ყველა ჩართულ მხარეს: თქვენ, რადგან ასეთი დამუშავება საშუალებას გვაძლევს, რომ დავნერგოთ მესამე პირების მიერ თაღლითობის მცდელობისგან დაცვის საშუალებები; ჩვენ, რადგან ასეთი დამუშავება საშუალებას გვაძლევს, რომ აღვკვეთოთ პლატფორმაზე არა-ავტორიზებული წვდომა; ნებისმიერ ჩვენს მომხმარებელს და საზოგადოებას, რადგან ასეთი დამუშავება იცავს მათ ინტერესებსაც, კერძოდ, თაღლითური აქტივობის პრევენციისა და მათი ჩადენის შემთხვევაში, ფაქტის დროულად გამოვლენის გზით. |
| **3. მომხმარებელთა მხარდაჭერის სერვისი** | მივიჩნევთ, რომ გვაქვს **კანონიერი ინტერესი**, რომ გავცეთ პასუხი შეკითხვებსა და კონსულტაციის მოთხოვნას, რომელსაც თქვენ გვაწვდით სხვადასხვა წყაროების მეშვეობით. ვაცნობიერებთ, რომ მონაცემთა ამ მიზნით დამუშავება სასარგებლოა თქვენთვისაც, რადგან გვეძლევა საშუალება გაგიწიოთ ადექვატური მხარდაჭერა და მოვახდინოთ თქვენს მიერ წამოჭრილ საკითხებზე რეაგირება.<br><br>როდესაც გვიკავშირდებით თქვენს მიერ, პლატფორმის მეშვეობით განხორციელებულ შენაძენებთან/მიღებულ სერვისთან დაკავშირებით, თქვენი მონაცემების დამუშავება აუცილებელია, რომ **მოხდეს შესაბამისი ნასყიდობის/მომსახურების ხელშეკრულების შესრულება**.<br><br>როდესაც თქვენი მოთხოვნა უკავშირდება თქვენი უფლების გამოყენებას (რომლებზეც ინფორმაცია ქვემოთ შეგიძლიათ იხილოთ), ან ჩვენს პროდუქტებს/სერვისებს, ჩვენ გვაქვს კანონიერი საფუძველი, რომ დავამუშავოთ თქვენი მონაცემები **ჩვენი სამართლებრივი ვალდებულებების შესასრულებლად.** |
| **4. მარკეტინგი** | ინდიტექსს მარკეტინგული მიზნებისთვის თქვენი მონაცემების დამუშავების უფლება აქვს იმ **თანხმობის** საფუძველზე, |

| | |
|---|---|
| | რომელსაც თქვენ მას (ინდიტექსს) აძლევთ. მაგალითად: როდესაც თქვენ ეთანხმებით, რომ მიიღოთ ინდივიდუალურად მორგებული ინფორმაცია სხვადასხვა წყაროებიდან; ასევე, როდესაც თქვენს ელექტრონულ მოწყობილობაზე ნებადართული გაქვთ სწრაფი ნოტიფიკაციების მიღების ფუნქცია; ან როდესაც საჯაროდ აქვეყნებთ თქვენს ფოტოს პლატფორმაზე ან სოციალური ქსელების გვერდებზე.<br><br>იმისათვის, რომ პლატფორმის ან მესამე პირთა წყაროების მეშვეობით შემოგთავაზოთ ინდივიდუალურად მორგებული სერვისები, ან რომ მოგაწოდოთ თქვენზე ინდივიდუალურად მორგებული ინფორმაცია და ასევე, იმისათვის, რომ მოხდეს მონაცემთა შეგროვება/გაერთიანება - ინდიტექსი მიიჩნევს, რომ აქვს კანონიერი ინტერესი, რომ მოახდინოს იმ ინფორმაციის დახარისხება, რომელიც თქვენზე აქვს (მაგალითად, ვებ-ნავიგაციის, გემოვნების/უპირატესობების და შენაძენების ისტორია) და რომელიც თქვენ მას თავად მიაწოდეთ. ინდიტექსი აცნობიერებს, რომ ასეთი მონაცემების დამუშავება სასარგებლოა თქვენთვისაც, რადგან ეს ქმნის თქვენი სამომხმარებლო გამოცდილების გაუმჯობესების შესაძლებლობას და გაძლევთ წვდომას იმ ინფორმაციაზე, რომელიც მორგებულია თქვენს უპირატესობებს/გემოვნებას. |
| **5. გამოყენებადობის და ხარისხის ანალიზი** | ჩვენ მივიჩნევთ, რომ ინდიტექსს აქვს **კანონიერი ინტერესი**, მოახდინოს პლატფორმის გამოყენებადობის და მომხმარებელთა კმაყოფილების დონის ანალიზი. ვაცნობიერებთ, რომ მსგავსი მონაცემების დამუშავება სასარგებლოა თქვენთვისაც, რადგან ასეთი დამუშავების საბოლოო მიზანია მომხმარებლის გამოცდილების გაუმჯობესება და უფრო მაღალი ხარისხის სერვისის მოწოდება. |

## 4. რამდენი ხნით შევინახავთ თქვენს მონაცემებს?

როგორც ქვემოთ მოცემულ ცხრილშია ახსნილი - თუ **რამდენი ხნით ვინახავთ თქვენ მონაცემებს,** დამოკიდებულია იმ მიზანზე, რომლისთვისაც შევაგროვეთ ის.

| მიზანი | მონაცემთა შენახვის ვადა |
|---|---|
| **1. პლატფორმაზე თქვენი რეგისტრაციის მენეჯმენტი** | ინდიტექსი დაამუშავებს თქვენ მონაცემებს იმ პერიოდის განმავლობაში, რომლის დროსაც თქვენ ხართ რეგისტრირებული მომხმარებელი (ანუ, იქამდე სანამ არ გადაწყვეტთ ანგარიშის/„ექაუნთის“ გაუქმებას). |

| | |
|---|---|
| **2.განვითარება, ნასყიდობის ან სერვისის ხელშეკრულების შესრულება** | ჩვენ დავამუშავებთ თქვენს მონაცემებს იმ დროის განმავლობაში, რომელიც აუცილებელია თქვენს მიერ შესაბამისი პროდუქტ(ებ)ის ან სერვისის შეძენის მენეჯმენტისთვის, მათ შორის, ასეთ შენაძენთან დაკავშირებით, დაბრუნების, პრეტენზიის ან მოთხოვნის წაყენების შესაძლებლობების ვადის გათვალისწინებით.<br><br>ზოგიერთ შემთხვევაში, ჩვენ დავამუშავებთ მონაცემებს მხოლოდ იქამდე, სანამ თქვენ მოგვთხოვთ ამ ფაქტის შეწყვეტას, ან განახორციელებთ ასეთი დამუშავების შეწყვეტისთვის საჭირო ქმედებას. ამის მაგალითია, სამომავლო შენაძენების გამარტივებისთვის, თქვენი საგადახდო (საბარათე) მონაცემების შენახვა (თუ ეს ფუნქცია ხელმისაწვდომია). |
| **3. მომხმარებელთა მხარდაჭერის სერვისი** | ჩვენ დავამუშავებთ თქვენს მონაცემებს მხოლოდ იმ დროით, რომელიც საჭიროა თქვენი მოთხოვნაზე ან აპლიკაციაზე პასუხის გასაცემად. |
| **4. მარკეტინგი** | ინდიტექსი დაამუშავებს თქვენს მონაცემებს იქამდე, სანამ არ შეწყვეტთ ჩვენი საინფორმაციო ბუკლეტების გამოწერას.<br><br>ამის მსგავსად, ჩვენ შემოგთავაზებთ ინდივიდუალურად მორგებულ რეკლამებს იქამდე, სანამ თქვენ, თქვენი მობილური მოწყობილობის ან ბრაუზერის პარამეტრებიდან არ გამოითხოვთ ამის შესახებ თანხმობას.<br><br>თუ თქვენ მონაწილეობას მიიღებთ წამახალისებელ აქტივობაში, ჩვენ შევინახავთ მის ფარგლებში მიღებულ ინფორმაციას ამ აქტივობის დასრულებიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში. |
| **5. გამოყენებადობის და ხარისხის ანალიზი** | დროდადრო, ინდიტექსი დაამუშავებს თქვენს მონაცემებს იმ დროის განმავლობაში, როდესაც ვახორციელებთ შესაბამისი ხარისხის კვლევის ან გამოკითხვის ღონისძიებებს, ან იქამდე, სანამ ასეთი ღონისძიება თქვენს ვებ-ნავიგაციას ანონიმურს გახდის. |

იმის ფაქტის მიუხედავად, რომ ჩვენ თქვენს მონაცემებს ვამუშავებთ მხოლოდ იმ დროის განმავლობაში, რაც აუცილებელია შესაბამისი მიზნის მიღწევისთვის, ჩვენ შევინახავთ/შევაგროვებთ და დავიცავთ მათ (მონაცემებს) იმ დროის მანძილზე, რომლის განმავლობაშიც შესაძლოა გვქონდეს პასუხისმგებლობა მათ დამუშავებაზე, შესაბამის პერიოდში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მას შემდეგ რაც ამა თუ იმ ქმედების განხორციელების ვადა ამოიწურება, ჩვენ შევუდგებით შესაბამისი პერსონალური მონაცემების განადგურებას/წაშლას.

## 5. ვუზიარებთ თუ არა თქვენს მონაცემებს მესამე პირებს?

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტში ხსენებული მიზნების მიღწევის მიზნით, იდნიტექსმა უნდა მისცეს წვდომა თქვენს პერსონალურ მონაცემებზე **ინდიტექს ჯგუფის წევრ პირებსა** და **მესამე პირებს**, რომლებიც გვიწევენ მხარდაჭერას იმ სერვისებში, რომლებსაც თქვენ გთავაზობთ, ასეთი პირები არიან:

- **ფინანსური** ინსტიტუტები;
- **თაღლითობის დადგენისა და პრევენციის** სერვისის მომწოდებელი პირები;
- **ტექნოლოგიური და ანალიტიკური** სერვისების მომწოდებლები;
- **ლოჯისტიკის, ტრანსპორტირების** და **მიტანის სერვისის** მომწოდებლები და პარტნიორები და/ან სხვა პარტნიორი პირები;
- **მომხმარებელთა მხარდაჭერის სერვისის** მომწოდებლები;
- **მარკეტინგის და ინფორმაციის გავრცელების** სერვისის მომწოდებლები და თანამშრომლები, მაგალითად, სოციალური მედიის ვებ-გვერდები, სარეკლამო სააგენტოები ან სარეკლამო პარტნიორები.

გარდა ამისა, ინდიტექსი გატყობინებთ, რომ ამ პირობებით გათვალისწინებული მიზნებისთვის, შეგროვებული მონაცემები უნდა გავუზიაროთ ჩვენს დედა-კომპანიას: **Industria de Diseño Textil, S.A. (Inditex, S.A.)**, ინდიტექს ჯგუფი ჰოლდინგის კომპანიას, რომელიც არის ესპანეთში. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ დედა-კომპანიამ შეასრულოს შესაბამისი რეგულაციებით გათვალისწინებული თავისი ვალდებულებები.

იმ შემთხვევაში, თუ ITX MERKEN ყიდის ან გადასცემს ჩვენი ბიზნესის ან აქტივების მთელ ნაწილს ან ნაწილს სხვა კომპანიას Inditex ჯგუფის შიგნით ან მის გარეთ, ან რაიმე სხვა ბიზნეს ოპერაცია განხორციელდება კორპორატიული რეორგანიზაციის შედეგად, ITX MERKEN– მა შეიძლება გაამჟღავნოს თქვენი პერსონალური მონაცემები ასეთი ბიზნესის ან აქტივების სავარაუდო მიმღები. ასეთი გაყიდვის ან გადაცემის შემთხვევაში, ITX MERKEN გამოიყენებს გონივრულ ძალისხმევას, რომ გადასცეს პირადი ინფორმაცია, რომელიც თქვენ მოგვაწოდეთ, ისე, რომ ეს შეესაბამებოდეს ჩვენს პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკას. ამ შემთხვევაში, ITX MERKEN თვლის, რომ მას აქვს კანონიერი ინტერესი, რომელიც დაკავშირებულის ჩვენი კორპორატიული სტრუქტურის რეორგანიზაციასთან.

გარდა ამისა, თუ თქვენ აირჩევთ პლატფორმას სხვადასხვა ბაზრებზე (ე.ი. რეგისტრირებული მომხმარებლის ანგარიშების შექმნით სხვადასხვა ბაზრებზე იგივე ელ.ფოსტის მისამართით), ITX MERKEN– ს შეიძლება დასჭირდეს თქვენს ანგარიშთან დაკავშირებული ინფორმაციის ან თქვენი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება ან გადაცემა ამ ბაზრებზე მოქმედი ომპანიებისთვის, რამდენადაც ისინი უშუალოდ მონაწილეობენ მე -2 ნაწილში აღწერილი რომელიმე მიზნის მისაღწევად, ITX MERKEN თვლის, რომ ეს აუცილებელია ჩვენი საერთო ინტერესებისა და მიზნების განსახორციელებლად.

## 6. თქვენი უფლებები, როდესაც მონაცემებს ჩვენთვის ხელმისაწვდომს ხდით

ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას, რომ თქვენი პერსონალურ მონაცემებს დავტოვებთ კონფიდენციალურად და შევქმნათ **თქვენი უფლებების გამოყენების** გარანტიებს. ამის გათვალისწინებით, ჩვენ, როგორც საერთო დამმუშავებლები შევთანხმდით, რომ თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ თქვენი უფლებები, **ყოველგვარი დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე**, ჩვენთვის შემდეგ მისამართზე - dataprotection@bershka.com ელექტრონული ფოსტის წერილის გამოგზავნის გზით, სადაც მარტივი ფორმით შეგვატყობინებთ თქვენი მოთხოვნის მიზეზს და იმ უფლებას, რომლის გამოყენებაც გსურთ. თავის მხრივ, თუ ჩვენ ჩავთლით, რომ ეს აუცილებელია თქვენი იდენტიფიცირებისთვის, შესაძლოა მოგთხოვოთ თქვენი ვინაობის/პირადობის დამდგენი დოკუმენტის ასლის წარმოდგენა.

იმისდა მიუხედავად, თუ რომელი სამართლებრივი საფუძვლით ან რა მიზნით ვამუშავებთ თქვენს მონაცემებს, თქვენ გაქვთ შემდეგი უფლებები:

- მოითხოვოთ **წვდომა** თქვენს იმ პერსონალურ მონაცემებზე, რომლებიც ჩვენთან ინახება. აქვე შეგახსენებთ, რომ თუ ხართ პლატფორმის რეგისტრირებული მომხმარებელი, ამ ინფორმაციის შესახებ კონსულტაციის მოპოვება შეგიძლიათ თქვენი ონლაინ ანგარიშის („ექაუნთის“) შესაბამის სექციაში.

- მოითხოვოთ თქვენი იმ პერსონალური მონაცემების **შეცვლა** ან **განახლება**, რომელიც ჩვენთან ინახება. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ თუ თქვენ ხართ პლატფორმის რეგისტრირებული მომხმარებელი, თავისუფლად შეგიძლიათ თქვენი ონლაინ ანგარიშის შესაბამის სექციაში ვიზიტით მარტივად შეცვალოთ ან განაახლოთ თქვენი პერსონალურ მონაცემები. ნებისმიერ შემთხვევაში, გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ნებისმიერი პროცედურის ფარგლებში, ჩვენთვის პერსონალური მონაცემების აქტიურად გაზიარებით, თქვენ იძლევით გარანტიას, რომ ეს მონაცემები **ნამდვილი და ზუსტია**, და თქვენ იღებთ ვალდებულებას, რომ შეგვატყობინოთ ამ მონაცემთა ნებისმიერი ცვლილება ან მოდიფიკაცია. პლატფორმისთვის, მასზე პასუხისმგებელი პირისთვის, ან მესამე პირებისთვის მიყენებულ ნებისმიერ ზიანზე, რომელიც გამოწვეულია რეგისტრაციის ფორმის შევსების დროს ან შემდგომში, თქვენს მიერ მცდარი, არაზუსტი ან არასრული ინფორმაციის მოწოდებით, პასუხისმგებელი იქნებით თქვენ. გთხოვთ გახსოვდეთ, რომ ზოგადი წესის შესაბამისად, თქვენ უნდა მოგვაწოდოთ მხოლოდ თქვენი და არა მესამე პირების მონაცემები, გარდა ამ პოლიტიკის დოკუმენტით ნებადართული გამონაკლისი შემთხვევებისა.

- მოითხოვოთ თქვენი იმ პერსონალური მონაცემების **განადგურება/წაშლა**, რომლებიც აღარ არის საჭირო იმ მიზნებისთვის, რომელთა მისაღწევადაც ჩვენ მათ ვამუშავებთ (როგორც ეს ახსნილია ზემოთ), ან როდესაც აღარ გვაქვს მათი დამუშავების სამართლებრივი საფუძველი.

- მოითხოვოთ ჩვენს მიერ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების **შეწყვეტა ან შეზღუდვა**. ზოგიერთ შემთხვევაში, თქვენი მხრიდან შესაძლოა მოთხოვნილ იქნეს, რომ ჩვენ დროებით შევაჩეროთ თქვენი მონაცემების დამუშავება ან შევინახოთ ისინი იმაზე მეტი ხნით, ვიდრე დამუშავების მიზნებისთვის არის საჭირო.

თუ თქვენ მოგვეცით **თანხმობა** ამა თუ იმ მიზნით დავამუშავოთ თქვენი პერსონალური მონაცემები, ასევე გაქვთ უფლება, რომ **ნებისმიერ დროს, გამოითხოვოთ ასეთი თანხმობა**. ზოგიერთი ისეთი შემთხვევა, სადაც შეგიძლიათ თქვენი თანხმობის გამოთხოვა, დეტალურად არის ახსნილი მე-2 სექციაში, სადაც საუბარია რა მიზნებით ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს.

თუ არ გსურთ ITX MERKEN-მა გაუგზავნოს ინფორმაცია მესამე პირებს თქვენთვის რეკლამების საჩვენებლად, ამის გაკეთება შეგიძლიათ რამდენიმე საშუალებით, როგორიცაა თქვენი მოწყობილობის, ბრაუზერის ან / და ქუქი-ფაილების პარამეტრების შეცვლით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის პროცედურისა და სოციალური მედიის პარამეტრების გადახედვით რომლებზედაც გაქვთ პერსონალური პროფილები, ან გამოგვიგზავნოთ ელ.ფოსტა ზემოთ მითითებულ ელექტრონულ მისამართზე, რომლითაც შეგვატყობინებთ თქვენი მოთხოვნის შესახებ.

თუ **ხელშეკრულების** მიზნებისთვის ან თქვენი **თანხმობის** საფუძველზე, ჩვენ გვაქვს თქვენი მონაცემების დამუშავების სამართლებრივი საფუძველი (როგორც ეს ახსნილია მე-3 სექციაში), თავის მხრივ, თქვენ გაქვთ შესაძლებლობა, რომ მოითხოვოთ **თქვენი პერსონალური მონაცემების პორტირება**. რაც ნიშნავს, რომ თქვენ გაქვთ უფლება მიიღოთ ჩვენთვის გაზიარებული პერსონალური მონაცემები სტრუქტურის მქონე, გამოყენებად და ტექნოლოგიურად მისაღებ ფორმატში, რაც შემდგომში, ჩვენი მხრიდან რაიმე დაბრკოლების შექმნის გარეშე, შეგიძლიათ გამოიყენოთ მონაცემთა სხვა პირებისთვის გადაცემისთვის.

გარდა ამისა, როდესაც თქვენი მონაცემების დამუშავება ემყარება **კანონიერ ინტერესს**, თქვენ გექნებათ უფლება, რომ **უარი განაცხადოთ** თქვენს მონაცემთა დამუშავებაზე.

ბოლოს კი, გატყობინებთ, რომ თქვენ გაქვთ უფლება შეიტანოთ საჩივარი მონაცემთა დაცვის **მარეგულირებელ ორგანოში**, კერძოდ:

- ჰოლანდიური მონაცემთა დაცვის ორგანოში (Autoriteit Persoonsgegevens) https://autoriteitpersoonsgegevens.nl/nl;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში (https://www.personaldata.ge/ka).

## 7. რა ხდება, როდესაც თქვენ გვაწვდით მესამე პირთა მონაცემებს ან მესამე პირები გვაწვდიან თქვენს მონაცემებს?

ჩვენ გთავაზობთ გარკვეულ ფუნქციებსა და სერვისებს, რომელთა შესრულების მიზნებისთვის, გვესაჭიროება თქვენს მიერ მოწოდებული მესამე პირების მონაცემების დამუშავება, მაგალითად, როდესაც ხდება სასაჩუქრე ბარათის გააქტიურება და გაგზავნა, ან სასაჩუქრე ვაუჩერის გამოყენების მენეჯმენტი (იმ შემთხვევაში, თუ ეს ფუნქცია ხელმისაწვდომია), ან როდესაც მესამე პირებს ანიჭებთ უფლებას წაიღონ თქვენი შეკვეთა ჩვენი მაღაზიებიდან/პარტნიორი დაწესებულებებიდან. თუ თქვენ გვაწვდით მესამე პირების პერსონალურ მონაცემებს, ან თუ ეს გამომდინარეობს მესამე პირის მიერ თქვენი სახელით, შეკვეთის ჩაბარების ფაქტიდან (ასეთ დროს, მესამე პირმა უნდა გაგვიზიაროს მისი გარკვეული მონაცემები, რათა დავრწმუნდეთ, რომ ის ნამდვილად ის პირია, ვისაც თქვენი სახელით შეკვეთის ჩაბარება შეუძლია) - თქვენ ადასტურებთ, რომ შეატყობინეთ ასეთ პირებს ჩვენს მიერ მათი მონაცემების დამუშავების წესი და მიზნები.

იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირმა მოგვაწოდა თქვენი მონაცემები ან თქვენ თავად მიაწოდეთ მას ასეთი ინფორმაცია იმ ფუნქციის ან სერვისის გათვალისწინებით, რომელიც მოთხოვნილია ჩვენი ერთ-ერთი მომხმარებლის მიერ, ჩვენ გამოვიყენებთ მათ (მონაცემებს) შესაბამისი, კონკრეტული ფუნქციის ან სერვისის შესრულებისას, წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებული შეზღუდვების გათვალისწინებით, რომლის (პოლიტიკის) ბმულსაც ჩვენს კომუნიკაციაში ყოველთვის დავურთავთ.

## 8. ცვლილებები პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცედურაში

შესაძლებელია, ჩვენ, ამის საჭიროდ მიჩნევის შემთხვევაში, შევცვალოთ ინფორმაცია, რომელიც მოცემულია პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პროცედურაში. ასეთ შემთხვევაში, უფრო ზუსტად კი, როდესაც ხსენებულ დოკუმენტში შეტანილი ცვლილებები რელევანტურია თქვენთან შეთანხმებული პოლიტიკის დოკუმენტისთვის - იმისათვის, რომ თქვენ შეძლოთ ცვლილებების გადახედვა, შეფასება და, საჭიროდ მიჩნევის შემთხვევაში, უარი განაცხადოთ ან შეწყვიტოთ ჩვენი რომელიმე სერვისის ან ფუნქციის გამოწერა, ამ (ცვლილებებს) ფაქტს ჩვენ, პლატფორმაზე არსებული სხვადასხვა პროცედურით შეგატყობინებთ (მაგალითად, ნოტიფიკაციის ამოგდებით („pop-up notification”), ბანერის გამოქვეყნებით ან სწრაფი ნოტიფიკაციით), ან შესაძლოა გამოგიგზავნოთ შეტყობინება თქვენს ელექტრონული ფოსტის მისამართზე. ნებისმიერ შემთხვევაში, თქვენ ყოველთვის მარტივად იპოვით ამ დოკუმენტს ჩვენს ვებ-გვერდზე და ჩვენს აპლიკაციაში.

## 9. „COOKIE“-ების შესახებ ინფორმაცია

გახსოვდეთ, რომ ჩვენ ვიყენებთ ე.წ „cookie“-ებს და მსგავს მოწყობილობებს, რათა ხელი შევუწყოთ თქვენს ნავიგაციას პლატფორმაზე, უკეთ გავიგოთ როგორ ამყარებთ ჩვენთან კავშირს და ზოგიერთ შემთხვევაში, რომ შემოგთავაზოთ რეკლამები, რომლებიც მორგებულია თქვენი ვებ-ნავიგაციის ისტორიას. გთხოვთ, განაგრძოთ კითხვა, რათა უფრო დეტალურად გაიგოთ გამოყენებული „cookie“-ების და მსგავსი მოწყობილობების ბუნებაზე, მიზნებსა და სხვა საინტერესო ინფორმაციაზე.